

სალიმ ბაბულაოლლი

თოვლის განხარტება  
(ლექსები)



„პაველი სახლი“  
2009

UDC (უბკ) 821.512-162-1  
ბ-136

გამოიცემა აზერბაიჯანისა და საქართველოს  
პარლამენტთაშორისო მეგობრობის ჯგუფის ხელშეწყობით.

მადლობას ვუხდით ამ ჯგუფის ხელმძღვანელს,  
აზერბაიჯანული პარლამენტის დეპუტატს განირა ფაშაევას.

Azərbaycan və Gürcüstanın parlamentlərarası  
dostluq qrupunun dəstəyi ilə çap olunur.

Naşirlər qrupun rəhbəri, Azərbaycan parlamentinin deputati  
**Qəniro xanım Paşayevaya** öz dərin minnətdarlığını bildirir.

რედაქტორი შოთა იათაშვილი

მხატვარი კოტე სულაბერიძე

დამკაბადონებელი ნიკოლოზ გელაშვილი

ISBN 978-9941-400-40-7

## აგვისტო ვარიაციები

ილპამს და ნაილას

1.

ჯერ სულმთლად არ დაბწელებულა,  
მთვარე, როგორც ნესვის ნაჭერი ციურ სუფრაზე  
მრავლდება ზღვის ანარეკლებით.  
მას, ვინც პლაჟიდან სახლისაკენ მიიჩქარის  
ეს ნადიმი თავისკენ დრეკს და უხსნის მადას.  
წრიალებენ, ხმაურობენ უსასრულო ტალღები და  
ცდილობენ რაღაც ჩააგონონ ზღვისპირა ქვიშებს,  
ხოლო შემდეგ რეცხავენ და აპათილებენ.  
აქ იწყება ზღვა თუ სრულდება?  
ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?

2.

ჯერ სულმთლად არ დაბწელებულა,  
ნავი, რომელიც სულ ახლახან ხმელეთს მიადგა,  
თევეგიოზის\* ქოშივითაა.  
ნაპირიდან ჩანან სახლები —  
ვითარცა სხვა გიგანტები, მის წინაშე მუხლმოყრილები.  
მეთევზეთა გოგო-ბიჭები, სანაპიროზე მოთამაშენი,  
სველი ქვიშისგან თევზებს ძერწავენ, ახალ ზღვას ქმნიან.  
ზღვისპირიდან ორ ნაბიჯში ამის კეთება მხოლოდ და  
მხოლოდ ბავშვებსა ძალუძთ.  
დედამიწაზე სიტყვის გარდა ყველაფერი ხრწნადია, თუმცა  
თითქოსდა ჯიბრზე,  
ისიც მუდამ იმალება მდუმარებაში.

---

\* თევეგიოზი — ციკლოპი, მითოური გმირი ეპოსიდან „დედე ქორქუთი“.

3.

ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა.

მანქანისაგან გატანილი და გზისპირას მოსროლილი ძალლის სხეული  
სიკვდილის საკვოიაჟიდან გადმოვარდნილი ნივთივითაა.

სიჩუმე თავისი ხანგრძლივობით

იმ გრძელ სიტყვებზე ლაპარაკობს, ჩვენ რომ მოგველის.

გზა იწელება, რამეთუ იგი არასოდეს არა სრულდება,  
დუშს მოგზაური, ზღვიდან მავალი,

და მან, ვის ირგვლივ სულიერიც კი არ ჭაჭანებს,

და სხვებმაც, სხვებმაც, წესით და რიგით,

გარშემომყოფნი კი არა და საკუთარი თავი დაკარგეს,

ვინაიდან მარტოობიდან მხოლოდ და მხოლოდ

ნაბიჯია არყოფნისაკენ.

4.

ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა.

ქალი, სახეში ქარი რომ სცემს, ამ ქარს ნებას რთავს

თმა უწენოს და უვარცხნოს,

სანაცვლოდ კი გაფანტული კვამლის ბოლქვივით

გზად საკუთარ არომატს ტოვებს.

სურნელი, ზღვისგან დაბერილი, ცოდვაში გვაგდებს.

სადღაც ტირის პატარა ბავშვი.

კი არ ტირის, წკრიალა ხმით

უფროსთა მიერ მივიწყებულ ნაღველსა მღერის.

ამ ნაღველს ნოტებზე ვინ გადაიტანს?

ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?

5.

ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა.

ალვის ხეები თავის წვეტებით ლაჟვარდებს ხვრეტენ,

და ამითი, შესაძლოა, ნიშანს გვაძლევენ

ალმატებულ წარმოდგენებზე.

მათი აზრით, შეიძლება, მთელი ცხოვრება გაატარო

ცალ ფეხზე მდგომა,

და ეს მაშინ, როცა მთელი დედამიწა უფსკრულია პირდაბჩენილი.  
ვიღაც მელოტი პირში გაჩრილი სიგარეტით  
სახლისაკენ მიეშურება, ვით დეპოსაკენ —

ორთქლმავალი მიმონჯლრეული.  
ჰაერში რგოლები აღნიშნავენ მომლოდნე ოჯახის  
წევრთა რაოდენობას.

ხოლო სარკეში ის უცილობლად გადაეყრება  
ვიღაცას, მის მსგავსს.

## 6.

ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა.  
დღრ კიდევ არის.

ზოგჯერ მავანნი მთელი ღამე თვალს არ ხუჭავენ,  
ხვალინდელი მათი დღე რათა არ ემსგავსოს კვლავაც გუშინდელს,  
და ისე მოხდეს, რომ გუშინდელი საკუთარი

თავისაგან განსხვავდებოდნენ:

კიდევ უფრო დაქანცულის იერი ჰქონდეთ.  
დაქანცული ხომ ცოცხალ-მკვდარია, ცოცხალ-მკვდარს  
კი არა სცხელა ამბიციისთვის.

გასავათებულთ არაფერი სურთ,  
ისინი ოლონდ გაუნძრევლად იწვნენ სადმე, რომელიმე  
წერტილს თავსზემოთ მიშტერებულნი,  
და თანდათან აცნობიერონ, რომ სამყარო  
განწირულობის ოქროს ბეჭედს არათითზე ყველას მოარგებს.

## 7.

ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა.

ბუზებმა კარგად მოილხინეს ნაგავსაყრელზე.

თუმც ვერ გაიგებ, რატომ ბზუან —

იმიტომ რომ ხალხი ასეთი გულუხვია,

თუ იმიტომ რომ უდარდელად ანიავებს თავის ქონებას,

თუ იმიტომ რომ არის ფეხთუმი?

ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?

გილავარი \* ძლიერდება, ტირიფებს ღუნავს,  
მეზობლების ურთიერთლანძღვა სწრაფად მიაქვს  
თითოეულ ადრესატამდე.  
ძალლები მერვე ნოტზე ყმუიან? და თუ ყმუიან, რაა მიზეზი?  
ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?

8.

ჯერ სულმოთლად არ დაბნელებულა.  
მასპინძელთაგან განსხვავებით, ერთი სული აქვთ ჭიშკრებს,  
სტუმრები ჩაიკრან გულში.  
მხოლოდ კედლები გატრუნულან, არაფერს არ გამოხატავენ,  
და ერთგულად ინახავენ  
სახლისა და მისი პატრონის საიდუმლოებს.  
მაგრამ თუ კარგად დააკვირდები, ამ კედლებზე  
შეიძლება შეამჩინო  
ნაკვალევი დამსხვრეული ჭიქების და ნაფურთხის და  
სისხლის ლაქების.

და გინებების?  
მათი ექვ დააპრუნეს კედლებმა უკან.  
და ამ უწმანურ სიტყმებს უკვე ლექსიკონებში ვეღარ იპოვი.

9.

უფრო ზუსტად კი, ყველაფერი ვითარდება უზარმაზარი  
ნრის ზედაპირზე.

- გილავარი — ზღვიდან დაბერილი ქარი.

არ ამძვრალიყო პითაგორა ამ ციცაბოზე, საძიებელ რიცხვს  
ვერ იპოვიდა.  
მაგრამ ცხოვრება რატომლაც უფრო ძირს დაშვებას გაეს,  
ძირს დაშვებას სიმშვიდეში განფენილი მიწუს უსასარულობისაკენ.  
რატომ? ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?

10.

ჯერ სულმოტლად არ დაბნელებულა.  
სამხრეთელი ხარ, სუსხიანი ამინდების მოყვარული.  
როგორც თურქები იტყვიან ხოლმე, ცივ პეიზაჟს მიჯაჭვული.  
მაგრამ მითხარი, ამ გლობუსზე, რამდენიც არ უნდა უყურო,  
რანაირად იპოვი სამხრეთს?  
სამხრეთი ხომ პლანეტასთან ერთად ბზრიალებს, თანაც  
ლერძის ირგვლივ კი არა,  
არამედ იმ მიმართულებით, საითკენაც დამტრიალებული  
მას ატრიალებს.  
ამ დროს შენ მხოლოდ ის კაცი ხარ, ყინვა რომ უყვარს.  
იქნებ ჯობს, გახდე ჩრდილოეთელი? თუმცა გარეთ  
რომ ზაფხულია?..  
რაკი ასეა, შენ ხარ მხოლოდ ადამიანი, და საქმის არსიც ამაშია...  
ჩანს, ყველა ფრაზა ერთ სიტყვაში შეიძლება შეიკუჭოს,  
ისე, როგორც მარტოკაცი იკუჭება სამზარეულოს  
კინრო სივრცეში.

11.

ჯერ სულმოტლად არ დაბნელებულა.  
მთვარის ნაჭერი სამზარეულოს ფანჯარაში,  
რომელიც მთელ ხედს და ლამის მთელ სამყაროს ფარავს,  
თქვენი ვახშმის უგემრიელეს დესერტს წააგავს.  
ვითომ ესმის მაძღარს მშეირის?  
რა თქმა უნდა ესმის, რომ ის მაძღარია და მოშივდება  
ადრე თუ გვიან.  
ამიტომაც ანაცვლებს ის თავის სიზმრებს და შესაძლოა,  
სიზმარში მან გალაგაინში,

ლელქაშისაგან აშენებულ  
ლტოლვილების ბოლო ქალაქში,  
ნესვის ნაჭერი ბავშვს გაუწოდოს.

## 12.

ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა.  
მაღე ქუჩები საკუთარ თავთან დარჩებიან,  
ფოტოსინთეზი, ისე როგორც ანცი ბიჭუნა,  
სუყველაფერს ყირამალა დააყენებს.  
გილავარი ნაზად დაბერავს,  
თუმცა ვინ იცის, იქნებ სულაც ხაზრიმ\* იმძლავროს.  
სინოპტიკოსნი კიდევ ერთხელ შეცდებიან,  
თუმც ხალხი კვლავაც ლამაზ გოგონას დაუჯერებს, მომხიბვლელი  
ღიმილით პირზე.  
თავის ნასვლას აგვისტო სიცრუით დაასაბუთებს.  
ჯერ კიდევ არ დაბნელებულა...  
უფრო სწორად, ჯერ კიდევ არ შებინდებულა —  
და ამ ფრაზაში ძევს უფრო ზუსტი ფილოლოგია.

1-3 სექტემბერი, 2007 წელი.

---

\* ხაზრი — ჩრდილოეთის ძლიერი ქარი. უფრო სწორად, ბაქოსა და აფშერონის ნახევარკუნძულისათვის დამახასიათებელი ნორდ-ოსტი.

## **მეცნიერება და მოწვევა**

(ფრაგმენტები)

1.

შენ ერთი ხარ.

დილა. ფანჯრები ქუჩის მხარეს გაღებულია. იზმორებიან  
ადამიანები, სახლები და ფანჯრის რაფები.

2.

ფარდა სახეს ელამუნება, სუფრის კუთხე მაგიდიდან მაღლა  
იწევს: ყურადღებით!

შენ ერთი ხარ;

როდესაც წვიმს, სველ ქუჩაში ყოველ მძიმე და ფრთხილ ნაბიჯში  
იმაღლება დაბლა დაცემა.

გნუსხავენ და უჩინარდებიან ადამიანები მოსახვევს მიღმა,  
ყოველი წვეთი ჩაქუჩივით ურტყამს ქოლგას.

შენ ერთი ხარ;

რაც არ უნდა იღონო, მაინც ყველა ლურსმანი თავის  
სიბრტყეს ჩაეჭედება.

3.

ჟირაფის ტანის მქონე ონკანში იკითხება შეკითხვა და გაოცება:  
შენობები — ჭიანჭველეთი, ადამიანები — ჭიანჭველები —

თუკი დახედავ სიმაღლიდან;  
ყოველი კვარტალი — ლაბირინთი ან გაქვავებული ჯუნგლებია.

შენ ერთი ხარ.

ადამიანები წვიმის შემდეგ: ზოგიერთი სახლში შერბის, ზოგიერთი  
გარეთ გამორბის.

თითოეული ბინა — ჩიხია — თუკი კარი დაკეტილია.

თითოეული ოთახი კი — გამოსასვლელი — თუ ფანჯარა გაღებულია.

შენ ერთი ხარ.

თითისწვერებზე მდგარი, გუბეს გარს უვლის ხალხი.

იშხეფებიან ტალახს სწრაფად მიმომქროლი მანქანები,  
მაღლა იწევს შარვლის ტოტები.  
მხოლოდ ბავშვები შედიან თამამად გუბეებში, იწუნებიან.  
წყლის ზედაპირზე იმსხვრევა მათი ანარეკლი: თავად წყალი  
იცავს ბავშვებს ხიფათისაგან.

შენ ერთი ხარ.

4.

შენ ერთი ხარ.

კარადა ირიბად შეწყობილი სველი თეფშებით კბილებს უკრეჭს  
ჭუჭყიან სუფრას.

გარდერობში დაკიდული შარვალი კი გაჯგიმულა,  
და წარმავლობის უთოს წინაშე სუყველა გზა უსასონა.

შენ ერთი ხარ.

თუ სკამს გვერდიდან, უცხო თვალით შეხედავ, მაშინ  
მას უამრავ ნივთს მიამსგავსებ: ნაჯახს, ასო „h“-ს,  
ხოლო თუკი დაიღლები, ჩამოჯდები და წაიგრძელებ კისერს,  
უცებ დაემსგავსება იგი გაშლილ წიგნს, ანდა ასო „k“-ს.

შენ ერთი ხარ.

ფურცელს თუკი გადააბრუნებ, დაინახავ, რომ სიტყვებს  
შიგნით სიტყვებია,  
და რომ სიტყვები შეგიძლია ჩეხო ისე, როგორც ხები.  
მაგალითად, „ცოდვა“-ში არის „ვა“ და ყველაზე უმთავრესი  
სწორედ ესაა.

შენ ერთი ხარ.

მიდი ერთი, მოიფიქრე გაგრძელება: ეს საიდუმლო ლურსმული  
ნეტა რისთვისაა?

რომელი წიგნის წასაკითხად? დასახმარებლად თუკი ვინმეს დაუძახებ,  
თუ მარტო ხარ, აუცილებლად მიიღებ პასუხს,  
ჩუმად ისვრიან შენს ხმას უკან მქრქალი კედლები.

შენ ერთი ხარ.  
თუ შეკრთები,  
ესე იგი, ოთახში შენს გარდა ვიღაც არის,  
ის ყოველდღე შენზე ადრე იღვიძებს ხოლმე,  
მანამდე კი დამალული არის სარკეში.

## 5.

მაღალი ჭერიდან დაშვებული ხუთთითა ჭალი  
დაამოწმებს, რომ ადამიანები უძლურნი არიან დედამიწაზე.  
თუკი უცებ ჩაქრება შუქი და დაფრთხები, რადგან  
ერთი ხარ,  
სანთელი აანთე. არა მხოლოდ სინათლეში,  
არამედ თვით თალფაქიან სანთელშიც კი არის ნიშანი ზეცისადმი.

ანთია სანთელი. თვალს ახელ ნელა:  
დასაწყისია, შუაწელია, დასასრულია რაღაცა ფილმის.  
შენმა მარჯვენა ხელმა და ფერდმა ტახტის სიცივე თუკი იგრძნო,  
— და შებრუნდი,  
შენ ერთი ხარ,  
ნამმზომი ისარი ჯარისკაცური ნაბიჯით ან  
„შემოგევლე“-ს გეუბნება,  
ანდა ზომავს მარადიულ დროს.

კაცი მარტოა თავის ჩრდილთან. განზრახვა კი მოქმედებასთან.  
ყველაფერი არის სიტყვა: ამორთქმული, ჩანერილი იდუმალ კალმით.  
და კალამი ნივთი არის, ხმაა, სიტყვა. ყველაფერი ერთშია და  
შენც ერთი ხარ.  
„ჩავწეროთ ესეც?“ წამოდგები, ჩანერ, — და როცა  
კალამს გვერდზე გადადებ, ამის საჭიროებას შენს ჩრდილში ნახავ.

ხოლო სიტყვა „წამოდგომაში“ ჭრიალი ისმის — ის ჭრიალი,  
სანოლიდან როდესაც დგები;  
სიარულის მანერაში ნაბიჯის ხმაა — ნუ ბარბაცებ, გაიმართე,  
ისე იარე!

დამუნჯდებიან ფურცლები, მელანი თუ გათავდება.  
შენ ერთი ხარ.

ნუ იღვრიმები. მარტოობაში სიჩუმის ხმაა.  
ლაპარაკობენ ლექსიკონები? თუკი ფურცლავ — კი, რა თქმა უნდა!

წყლიან ვედროში გასარეცხი ტანსაცმელია, და პერანგის  
სახელოები გარეთაა გადმოკიდული,  
შეხედავ და მოგეჩვენება, თითქოს კაცი ზღვაში იხრჩობა!  
მეზობლები გიყურებენ და ხედავენ, როგორ ახრჩობ ვარცლში პერანგს.  
შენ ერთი ხარ.

სარეცხს გარეთ თუ თავად გაკიდებ, ლოყებზე ალი მოგედება;  
აღმოაჩენ, რომ დასველებულა შენს ჯიბეში ჩარჩენილი  
ბოლო თუმანი;  
შეიმეცნებ, რომ ტანისამოსი ვერ დაგიცავს, იგი მხოლოდ  
სირცხვილს გიფარავს.

6.

ალიონზე ქანდაკებები და მაღალი შენობები გამვლელთ აფრთხობენ,  
რადგან მხოლოდ წინ იციან ქანდაკებებმა.  
თითოეულ ქანდაკებაში ზის უვიცი უწარსულო, — ყოველივე იმის  
გარეშე, რაც ზურგსუკანაა, — ანუ კერპი იმალება.  
მოედნები ამრავლებენ ცათამბჯენებს, ფენა-ფენა მრავლდებიან  
კერპთმსახურები;

თუ გაიყინე და სხეული აგიკანკალდა,  
ერთი ხარ მაშინ.

თვალს გჭრიან კირით შეღებილი ხეები, თითქოს  
საპატიო ყარაულია, მაგრამ ისინი ცოცხალ-მკვდარ კერპებს  
ვერ დაიცავენ.  
თითოეული ხეივანი უპირველეს ყოვლისა ხომ ცარიელი მონაკვეთია,  
თითოეული ხე — საყრდენი სახრჩობელისა,  
თითოეული ადამიანი, გულწრფელად რომ ვთქვათ, ოდნავ ჯალათი.  
სანაპიროს მიუყვები.

შენ ერთი ხარ.

პარკის კვადრატულ ფილაქნებზე მისეირნობ  
და თვალები გიცრემლდება: თითოეული დანაყოფი საკუთარი  
თავის ტოლი დანაკარგია;  
ხოლო შემდეგ ღრმა ბავშვობას გაიხსენებ — თამაში, სკოლა,  
გეომეტრია —  
უსასრულო კვადრატს წრეში ათავსებდი, და პირიქითაც —  
წრეს კვადრატში.  
ახლა კი კალაშს ცენტრში ჩაარჭობ, მერე ფურცელს დააბზრიალებ  
— და ეს უკვე საკმარისია.  
რადგან წრეშია ყოველივე, უსასრულობა კი მოძრავი ერთეულია.  
შენ ერთი ხარ.

მეტროში ხალხი თითქოსდა ღრმად ჩაფიქრებულა, დიდად მოჩანან  
ამართული მაღლა თვალები.  
არსებითად, ადამიანის ცხოვრება გზაა,  
უბრალოდ, სიჩქარის ზრდასთან ერთად ჩაკეტილ და მცირე  
სივრცეში იკარგება ნელ-ნელა ფონი.  
გროტესკი. და დედამიწა სწრაფად ბრუნავს, უბრალოდ შენ  
პატარა ხარ,  
და რასაც ხედავ, მხოლოდ და მხოლოდ კარზე შენი ანარეკლია;  
და ის კართან ერთად გაქრება, უმრავლესობას გზას  
დაუთმობენ მარტოსულები.  
შენ ერთი ხარ.

\* \* \*

შარვალი – დათხვრილი და გაქუცული,  
მაისური – დაჭმუჭნული,  
თვალის უპეები – ჩასიებული,  
ჭაღარა თმა – ჭუჭყიანი და დაუვარცხნელი,  
იდაყვებთან კნი – ჩაშავებული და მოშვებული,  
სახე – ღრმად დანაოჭებული,  
ფერგადასულ ცელოფნის პარკში, ხელში რომ უჭირავს –  
შავი აგურის პური,  
უფილტრო სიგარეტის კოლოფი და  
ერთი შეკვრა დიეტური ხაჭო.  
რევოლუციისა და მშვიდობის ქუჩების გადაკვეთაზე,  
მარკეტის წინ, ნელი ნაბიჯით  
მოხუცი შენსკენ მოემართება.  
მეგობარი თვალით განიშნებს მასზე და გეუბნება:  
– შეხე, ნუთუ მას რომ დაინახავ, შეიძლება იფიქრო,  
რომ ის ოდესმე ფითქინა და ბუთქუნა ბავშვი იყო?

\* \* \*

დაბარულ შავ მიწაზე  
ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლები  
მისცემენ განცხადებას გაზეთში,  
რომ ეძებენ მხატვარს.  
და რომ არა ჩვენი უდიერი მზერა,  
რომლითაც მივეჯაჭვეთ  
მეწინავე გვერდის სათაურს,  
გადაურჩებოდნენ ფოთლები ლპობას.

\* \* \*

დამისახელეთ ერთი ადამიანის საცალო ფასი  
და მე დაგისახელებთ მთელი მსოფლიოს საბითუმო ფასს,  
და როცა შეადარებთ ამ მონაცემებს  
თქვენთვის ნაცნობი ალგებრის წესებით,  
თვალშისაცემი შეუსაბამობა გიჩვენებთ, რომ  
სიყვარულის განტოლებას არა აქვს თურმე ამონახსნი.

## ეპლვება დუმილს

დუმილი გაიწელა თუკი, იცოდე, ყველაფერი რიგზეა;  
უკიდურეს შემთხვევაში,  
შენ მოგეცა შესაძლებლობა გადაურჩე რამდენიმე ნაყალბევ  
სიტყვას,  
ან იქნებ უკვე გადაურჩი, ვინ იცის. მაგრამ  
თუ შეხში მოზღვავდნენ სიტყვები, ესეიგი, ბედისწერის  
ნიგნში გენერა  
აჟღერება, როგორც საათს – როცა დროა; და შენ აჟღერდი;  
და თუ ასეა, რაღას ჩხაპნი თეთრ ფურცელზე? ნამოდექი!  
უბრალოდ, ადექი!  
გააგებინე ყველას, რომ თითოეული, საბოლოო ჯამში,  
თავისთავის გაგრძელებაა –  
თავისთავის სახელია – ჩრდილია – შვილია; და გააგებინე,  
რომ თითოეული,  
პირველ რიგში, დანაოჭებულ თეთრ ზენარზე მიგდებული  
მომჩვარული სხეულია,  
რომელსაც არ ახსოვს საკუთარი სუნი და ფორმა, მაგრამ შიგნით  
სულია, სული!

ირგვლივ კი – საგნები. დუმილი გაიწელა თუკი, დაწყნარდი,  
ნუ ლელავ,  
უბრალოდ, შეეხე უჩვეულებრივეს საგანს, იმას, რომელიც  
ხელთანაა – საათს –  
(ნიკ-ნიკ!), და აუხსენი, შეაგნებინე საკუთარ თავს,  
რომ ჯერ კიდევ ცოცხალი და ჯანმრთელი ხარ;  
და შემდევ იგრძნოს შენმა მაჯამ საათის ვერცხლის სამაჯურის  
სიგრილე, შემდევ  
გაგაურულოს მთელ სხეულში; და მადლობა უთხარი გამჩენს  
ყოველი დღისთვის, რომელიც მოგცა; ჩაიცვი შარვალი,  
ჩაიცვი პერანგი, სიცარიელე შეავსე შენით,  
გადადგი ნაბიჯი: შენგან შენკენ; შენგან შენკენ;  
ერთი – ორი, ერთი – ორი;

თითოეული, პირველ რიგში, საგანია, საკუთარი სამოსია.  
სარკეში მხოლოდ თვალებიღა დარჩა იგივე,  
სათვალიდან მომზირალი. თუ მოიხსნი, შენს გარშემო  
ყველაფერი დატრიალდება,  
დატრიალდება სამყარო, საგნები, ყველაფერი ჩამუქდება.  
სხვა სიტყვები არ იციან საგნებმა, გარდა

თავიანთი სახელების, მუდამ სდუმან, და არც ჩვენგან  
ითხოვენ სიტყვებს. გაინტელა თუკი დუმილი,  
ნუ მოიწყენ. უბრალოდ, მოუშვი ონკანი, ყური მიუგდე წყალს.

## საპასუხო ნირილი მეგობარს

სამშობლო უმშვენიერესი პირობითობაა.  
ეს სიტყვები არასოდეს წამოგცდეთ მათთან,  
ვისი ხვედრიც უცხო მიწაა.

ქალი ყველაზე ბუნებრივი სილამაზეა.  
ცალმხრივად შეყვარებულები არასოდეს გეტყვიან ამას.

კუდლისათვის სულერთია, რად ჩაასეს მასში ლურსმანი –  
ტანისამოსის საკიდად თუ წიგნის თაროსთვის.  
და სულერთია მეგარდერობები ქალისათვის –  
აქ იწყება თეატრი თუ, პირიქით, მთავრდება.

არაფერი მოკითხოთ ბავშვებს –  
მათ, ვინც ანბანს ათამაშებს, ვისაც ენა არც კი აუდგამს;  
განა მათი საყვარელი სახეები  
მეტს არ ამბობენ, ვიდრე დიდი, სქელი წიგნები?

შვილმკვდარ დედას  
ნუ არწმუნებთ საიქიონ სასუფევლის არსებობაში;  
მან სააქაო თავისთავზე იწვნია უკვე.

თუ დაიქუხა, ყრუ ბავშვები არ შეაშინოთ,  
მაინც ვერაფერს გაიგებენ მათი ხელები:  
გაივლის ნუთი – და წვეთები ჩამოიღვრება  
ცისკენ აწვდილ ხელისგულებში.

ნუ გადატვირთავთ, პოეტებო, ლექსებს საგნებით,  
თუ მაცივარში, თაროს წაცვლად, ერთხელ მაინც არ შეგინახავთ  
კითხვისაგან დალლილებს წიგნი.

კმარა, კომპოზიტორებო! მერვე ნოტი თუ არ იგრძენით –  
ნულარ შეთხავთ საომარ მარშებს.

სუსტ ბიჭებს ჯარში ნუ წაიყვანთ,  
ნუ აიძულებთ, რომ გაიქცნენ და მერე ფეხევეშ  
მთელი ცხოვრება, როგორც ნაღმი, უფეთქდებოდეთ  
სიტყვა „დეზერტირი“.

მზეს ნუ ემალებით, რაც გინდა ცხელოდეს,  
ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ფოთლები მზეს არასდროს ემალებიან.

არც იმ მოხუცს, რომელიც ცხოვრობს მისამართზე  
ნაზიმ ჰიკმეტის 12/26,  
არ დასცინოთ, თუ ვერაფრით გაიხსენა ქუჩის სახელი;  
მის ქუჩაზე ხშირად დადის ჩინოვნიკი, რომელიც კრეფს  
გადასახადს გაზის და შუქის.

ნურც სიყვარულს, მითუმეტეს – სამშობლოსას, მე ნუ მასნავლით:  
მე მარტო ჩემი თავის პირისპირ და უცხო მხარეში...

\* \* \*

როცა მინდოდა მეწერა მხოლოდ ვრცელი ნაწარმოებები  
და არ დავხარჯულიყავი მოკლე ლექსებზე,  
ჩემი ფანჯარის ქანდარაზე ჩამოჯდა ჩიტი,  
ვერ ჩაეტია ვერცერთ ლექსში, ვერცერთ რომანში –  
ისევ გაფრინდა

## საუგარი შვილთან

- შენ ვინა ხარ?
- მამა ვარ შენი.
- ფერიდეს მამა ვინდა არის?
- ის ალარ არის.
- რატომ?
- 
- რას აკეთებ?
- ლექსებს ვიგონებ.
- ლექსი რა არის?
- რაღაცით ჰგავს იავნანას, დედა რომ გიმლერს.
- დედაც ლექსებს წერს?
- არა.
- შენც იმღერე, რად გინდა წერა!
- 
- სად მიდიხარ?
- სამსახურში.
- სამსახური რაღა არის?
- ეს არის შენი ფეხსაცმელი, პური, წყალი, და ასე შემდეგ.
- ცოტა ხახს დარჩი.
- 
- მიამბე შენზე.
- რა გითხრა, შვილო. მეც შენ გგავდი, შენსიმაღლე, შენნაირად ვიღიმებოდა. შენსავით ვსვამდი უამრავ კითხვას: სახლში, ეზოში, მატარებელში, დედის მკლავებში, მამის კალთაში.
- მატარებელი რაღა არის?
- შენს სათამაშო მანქანას ჰგავს. აი იმას. ოლონდ ბევრად უფრო დიდია. თანაც დადის ლიანდაგებზე. მატარებელში ბევრი ბავშვია.
- მე ჩემს მანქანას ფერიდეს ვჩუქნი.
-

- მამა, ღმერთი ვინდა არის?
- ღმერთმა შეგქმნათ თქვენ ყველანი: შენც და დედაც, ბებოც,  
ბაბუაც.
- შენც ღმერთმა შეგქმნა?..
- 

- ისინი რალას აკეთებენ?
- ისინი კი, ჩემო შვილო, ქვებს აგროვებენ.
- რატომ?
- ერთმანეთს უნდა ესროლონ.
- რატომ?
- ისინი მტრები არიან.
- რატომ?
- არ უყვართ ერთმანეთი.
- რატომ?
- 

- მამი, როცა დაბრუნდები, მომიტანე ხუთი ნაყინი.
- და რატომ ხუთი? შენ, დედაშენს, ფერიდეს, მე და?...
- მეხუთეს კი ჩიტებს ვაჩუქებ.
-

\* \* \*

ვიდრე სამხრეებიანი ღამურები შემოგვარდნიან სახლში  
და მოუთხოვიათ ხელისგულისოდენა საბუთი, რომელიც  
ვითომ ადასტურებს შენს ვინაობას,  
ვიდრე ჩაგჭიდებიან თმაში და წაუთრევისართ  
ამა და ამ განცყოფილებაში – საცემად,  
და ავადმყოფი ძმაც, მარტოხელა დედაც, მთელი  
სამყარო შეუზიზლებიათ,

ვიდრე გადაყრისარ ორიენტაციადაკარგულ დამეულ გმირს,  
მორიგ იდოოტს, რომელიც შენთვის სიყვარულის ახსნას ეცდება,  
ვიდრე გამოჩენილა „კონკიას“ ან „ლამაზმანის“ რეჟისორი  
და მიუწვევისარ სასინჯ ჩანერაზე ფილმისთვის „იმედი“,  
ნადი აქედან, ღვთის გულისათვის, ნადი!

შენ, თვალებამოღამებულო გოგონავ კვამლით გაბუღული  
ღამის ბარიდან,  
დროს ტყუილად ნუღარ დაკარგავ,  
ეს უცნაური კოქტეილი, უდარდელი ბარმენის ქმნილება,  
ვერ გაალღობს ყინულს წარმავალობის,  
ვერ აგრძნობინებს სირცხვილს  
შენს ფეხებზე მოშტერებულ მაძღარ საქონელს;  
ასე აღარ შეიძლება!  
ღვთის გულისათვის, ნადი!

მომისმინე,  
არაუკანასკნელო მარიამ მაგდალინელო ჩვენო,  
უმშვენიერესი ყრმის, რომელიც გაჩნდება, დედავ!  
ნადი აქედან, ღვთის გულისათვის, ნადი!

შენ კი, დიჯეი,  
კითხვის ნიშანივით მოკუნტულო,  
გაბრუებულო, მთვრალო, გაბოლილო,  
უაზრო თვალებით მზირალო დიჯეი!  
უსმინე ნაბიჯებს აღარდაბრუნების – მიდის!

## 21 აგვისტო. საელჩოს პინა

საელჩოს ბინა, ფასადი სამხრეთით, მეორე სართულზე  
უგრძესი დერეფანი.  
ძარღვებივით დაძაბულ სვეტებზე დგას ჩაზნექილი სახურავი.  
წყვილ-წყვილი პროლეტარი ქვის ათლეტი დგას განაპირა  
სვეტების გასწვრივ.  
ხმლის მაგიერ დუიმიანი მილი უჭირავს და ვითომ ბინას იცავს ის ტიპი.  
და კიდევ ორი ფრონტის განაპირას აქედან მოჩანს, თუმც  
არ აცვიათ ჯაჭვის პერანგი.  
ნახევრად მოშლილი წარწერა, რომელიც გვამცნობს ბინის  
არქიტექტორის ვინაობას და აშენების ნელს.  
ათიქი, პლიასტერი, კარნიზი, ნაოჭები – ქვეყნის ცოდნით გამოწვეული.  
ექვსი თალიდან ორი ბეჭლია, ორი ნათელი, როგორც თვალები,  
გზის მომლოდნე.  
ქვემოთ ფასადის ბოლო შტრიხები, პირველ სართულზე  
შესასვლელი კარები ბინის.

ცხრის ნახევარია. ნიავი უბერავს კასპიის ზღვის სანაპიროდან.  
რიგში ენერებიან მოქალაქენი, რომელთაც ვიზის აღება უნდათ.  
ცოტა ხაზში ყველა გაივლის იმ კარს, ჯერ კი დგანან  
თითო-თითოდ, ზურგშექცეულნი,  
დრო კი ბევრია. ცხოვრებაც ასე დროისა და მოთმინებისაგან  
შედგება მხოლოდ.  
იმისათვის რომ გაიარო, უნდა გახსენონ, იმ სქელ დავთარში  
ჩაგნერონ და ნებართვა დაგროონ.  
„მობრძანდით!“ „ვინ, მე? ამ ნუთს ბატონი!“ წინ კი წიავი  
შეგასწრებთ მაინც.  
ვინ გაიგონა მისი სახელი? ლალი ბალლივით ყველაფერს  
ხელით ეხება ქარი,  
ოთახს უჩუმრად გაანიავებს, და შეარხევს ლითონის მიღზე  
ჩამოცმულ ფარჩას,

ჩანს წითელ ფონზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი და ნახევარმთვარე...  
ანუ ზეცამ იცვალა ფერი; ანუ ცამ იცის ყველაზე კარგად  
საბაჟოცა და დაღვრილი სისხლიც.  
ანუ ცა და დედამიწა დგანან პირისპირ.

## მამას

შენ ჩემთან შედარებით უფრო ლამაზი ხარ,  
მე შენთან შედარებით უფრო ნერვიული...  
შენ მგრძნობიარე ხარ,  
მე – დარღიმანდი,  
ხელგაშლილი და  
თვითკმაყოფილი,  
ცოტა უბედო,  
და უიმედო ჟამით ყელამდე...  
შენგან მოშორებით,  
ამ უაზრო დიდ ქალაქში  
უკმაყოფილოდ დავიარები,  
ერთობ ცოდვილი...  
დილით შენს ფოტოს,  
სალამოთი სარკეს შევცქერი,  
ვბერდები, აგერ  
უკვე ჭალარა მერევა თმაში.  
შენ მოიპოვე მრავალი რამე,  
დასაკარგი არც რამ გქონია...  
მე ვერაფერი მოვიპოვე და  
ნაწილ–ნაწილ თავი დავკარგე.  
გავუფრთხილდი შენს კაცურ სახელს,  
ოთხოთახიან ბინასა და  
ბიბლიოთეკას...  
შენ ძალიან კარგი მამა ხარ,  
მე – ცუდი ვაჟი...  
ასეა, რა ვქნათ.  
რაც არის, არის, ამასაც გეტყვი:  
შენ ძლიერ კარგი პაპა იქნები,  
ვგონებ, რომ მეცა...

## 3 უძლველი გულთა ძგირას

ო, უეჭველად, მწამს უეჭველად,  
ერთი ლამაზი, მშვენიერი დღე  
წინ, წინ არის და ის უეჭველად  
მოვა, გვეწვევა, გვეწვევა, მოვა;  
დაგვიყუჩდება ტკივილი მაშინ,  
და ვიცი, მაშინ გაგელიმება;  
ო, საკვირველი რაა ამაში,  
თუ დასასრული აქვს ყველა დღესა.  
ო, უეჭველად, მწამს უეჭველად...

## ქალათონ ჰამიდას

მე რომ გზის პირას ვიდგე ვითარცა  
დიდი მუხის ხე,  
თუ მოისვენებ ჩემ ჩრდილქვეშ ოდენ?  
ან თუ დამიტვრევ ტოტებს საცეცხლედ  
და არხეინად მიეფიცები?

პაპანაქება ზაფხულში რომ ვიწვიმო, კარგო,  
ამ ხმაურიან, მტკრიან ქალაქში  
მიწის სურნელი დატრიალდება,  
მიწის სკნელში თუ გამომარჩევ და გაოცდები?

ანდა ძვირფასო, გზად მიმავალს რომ  
წვიმამ მოგისწროს და დაგასველოს,  
გამიბრაზდები და შემაჩვენებ?

სამხრეთში თოვლი იშვიათია,  
ერთხელ ზამთარში რომ ჩამოვთოვო  
თუ იგუნდავებ ყუანვილებით გარემოცული?  
ან რომ წაიქცეს ბავშვთაგანი,  
ანდა ხელები გაეთოშოს ყინვაში ვინმეს,  
გამიბრაზდები?

ერთ საღამოსპირს მე რომ ვინატრო  
ხედ, წვიმად ანდა თოვლად ქცევა,  
სიკვდილს სათქმელს თუ მიახლი პირში?  
ან რომ წავიდე,  
ბაშმაკებივით დამემგზავრები?

ანდა უბრალოდ  
ლექსები რომ შევთხზა ძვირფასო,  
ღამით უეცრად რომ გაგაღვიძო და წაგიკითხო  
გაგეხარდება?

## საივენისო სიმღერები

ჩემი ფანჯრის წინ მანქანები მიდი-მოდიან;  
ფანჯრის რაფაზე ჩიტები ჭიკებებენ;  
მანქანებში მოქალაქენი,  
მოქალაქეთა გულებში ზღვა სიმღერების,  
სიმღერების ბოლოს დუმილი –  
უსაზღვრო, როგორც მარადისობა...

დედები შვილებს ნანას უმღერენ,  
დააძინებენ;  
ბებიები ჩაის სვამენ და  
სიამოვნებით უყურებენ ამ ლამაზ სცენას;  
ძილგატეხილი ბიძები ჯერაც  
ცდილობენ თავი შეაპარონ ამღვრეულ სიზმრებს.  
და ყველას სულმი სიმღერა ლელავს –  
უსაზღვრო, როგორც მარადისობა...

ეთერში ძველი, ძველი ფილმები  
უახლესი დუბლიაჟებით.  
სიტყვები იგივე,  
ხმები სხვა ტონის,  
ვითომ ამით რა შეიცვლება,  
გმირები ისევ პატარებია,  
ბაგეებზე სიმღერები აქვთ,  
როგორც ჩვილი ბავშვის ულურტული –  
უსაზღვრო, როგორც მარადისობა...

ამ საღამოს ჩემი რეჟისორი მეგობრის სახლში,  
რომელიც რასკოლნიკოვის სახლსაც წააგავს,  
ახალი ლექსის როგორობაზე ვიმსჯელეთ ისევ;  
ცხოვრება კადრად, სიტყვა – ხატად და ღმერთმა იცის,  
რად არ დავყავით.  
ყველაზე ორიგინალურ ფორმათა შესახებ

გამოითქვა აზრი მრავალი,  
ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ, რომ  
დუმილი სჯობს სუყველა სიტყვას,  
რამეთუ სიტყვა, სიტყვა ყოველი  
დუმილში სუფევს, ვით ცხოვრებაში.  
და ამ დუმილის დიდ სივრცეებში  
მგზავრს შეუძლია იმოგზაუროს.  
ეს მე გახლავართ  
სულში მღელვარე სიმღერების ზღვით –  
უსაზღვრო, როგორც მარადისობა.

ჩემი ფანჯრის ნინ მანქანები დაქრიან ისევ,  
ჩემს თავში ძველი სიმღერები დაღილინობენ,  
ჩიტები ისევ ჭიკჭიკ-ჭიკჭიკით  
ფოთლებს შორის მიმოფრინავენ.  
და ეს ზაფხულის მეოთხე ლამე  
მოსწყდება ერთ-ერთ ტოტს ფოთოლივით.  
არც რამეს იტყვის;  
არც დადუმდება;  
და ჯვარცმის კვალსაც ვერ შეამჩნევ ხელისგულებზე;

არც სილამაზე,  
არც სიცოცხლე  
და არც სიკვდილი არ ენაღვლება.  
არც მკვლელ ფრინველზე იტყვის რამეს,  
ან ეს ყოველი იგულისმება მის დიდ დუმილში.  
მე კი ამ წუთში  
უსაზღვრო, როგორც მარადისობა  
ვმღერი, ვღიღინებ.

## თოვლის განვარტება

მოთოვა. გადაუთეთრდა ქალაქს პირისახე: ელფერი, ხედი.

მოთოვა. ქალაქს პირისახე გადაუთეთრდა: მიწას, ასფალტს

და ზედაპირს.

მოთოვა. ქალაქს გადაუთეთრდა ელფერი და გადაფარა მიწის  
სიშავე, სახურავები, ზედაპირები.

თან მაგრად ცივა, შემალულან, სახლს შეფარვიან ადამიანნი.

ახლა სამყაროც თავის თავსა ჰგავს. ახლა ზედაპირიც სახეოთრი  
და შუბლგახსნილია.

ზედაპირის ოცნება ხომ ძირითადად სამართალია, მარტობაა...  
არყოფნასთან მაქსიმალური სიახლოვეა... ნათესაობაა, სიცარიელე.  
ზედაპირისთვის სიცარიელე არყოფნაა პლუს შენი თავი,

მაგრამ თუ შეძლო.

მოთოვა. ფიფქი გაცრილი ფქვილივით ცვილდა ციდან,

შიშველმა ხეებმა მკლავებით, ტოტებით, განმეორებით ასწიეს  
სითეთრე ზემოთ, ზემოთ...

აუცილებლად სითეთრეზე მიანიშნებენ და ნებდებიან.

თანაც იციან, ცაში ტრიალებს მიწის ბორბალი დიდი ხანია.

ასეთ დროს წყალი ტბორავდა ქვეყანას, აი, ახლა კი თოვლი მოაწვა.  
ციდან ჩამოთვა: წყალს შეუცვლია სახელი, ელფერი,

დამტკნარებულა, მოგზაურობისას გადაწმენდილა.

მეხსიერება შემორჩა მხოლოდ.

ყველგან მოთოვა, ძეგლზეც, იქ წელან ჩიტები ისხდნენ.

ვინ იცის, იქნებ ახლიდან დაფარა წყალმა კერპები.

ამ ქვეყანაზე მხოლოდ ფაქტები არ ძველდებიან.

მოთოვა. აფსუს, ახლა კი დნება...

## მამა და გავშვები

(ლექსი მუნჯი რითმით)

ჩემს პირმშობს – მუბარაქსა და სონას,  
ასევე პოეტ ჩინგიზ ალიოლის, რომელიც  
სეირნობისას ჩვენ ხშირად ვკხვდება.

სანამ მოედნის ცივ ფილაქნებს დაადნება,  
ცვარ-ნამი ედება არა კეფას და არა ბრინჯაოს  
ძველი პარტიული მაღალჩინოსნისა,  
რომელიც ახლა ცოტათი წააგავს მოედნის გუშაგს  
ან საფრთხობელას, ბაღში ჩადგმულს,  
არამედ ედება მის სიდიადეს,  
ჟანგისფერს მატებს და თანაც ჩრდილავს.  
მეტაფიზიკა აუქმებს ფიზიკას, თუ პირქით – ამას ვერ გეტყვით,  
მაგრამ ჩინგიზ ალიოლი როგორც იტყოდა,  
ეს საკითხი უეჭველად ეჭვს ბადებს ჩვენში.

ძირითადში კი აი, რა ხდება: წყალი იცვლის თავის თვისებებს,  
მინა კი მას მეჯნუნისებრი ვნებით იხმობს,  
ექვსი მოელი სამოცდაშვიდი მეასედის ძალით უყვარს,  
ხოლო ადამიანები როგორც ყოველთვის საოცრებას ეძებენ, მაგრამ  
რატომდაც დღემდე ვერ პოულობენ.

ყოველდღე ანუ ყოველ დილით ამ ცარიელ მოედანს ვკვეთ.  
ამ დილითაც ქალიშვილი და პატარა ვაჟი მიმყავს სკოლაში,  
უძილოს და დაღლილ-დაქანცულს.  
ჩუმად ყოფნა მინდოდა, მაგრამ მათ მიამიტ შეკითხვებზე მომიწია  
პასუხის ძებნამ.  
ეს მამობის ვალის გარდა თანამოსაუბრის კარგად მოსმენის  
ეთიკური საკითხიცა – გავითიქირე მწიგნობრულად,  
მივაყურადე მათ ბრძნულ აზრებს, და მივხვდი, რომ

ამ დილით მეც სკოლისაკენ მივდიოდი ბავშვებთან ერთად,  
და მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილი დავიზუთხე, არა ვიცოდი.

„მამა, მე ვიცი, ვარსკვლავებს ცაში ტკბილად სძინავთ“.

„ჰო, მართალია“.

„მამა, ჩემს დას რომ აწუხებდა, ის ბიჭი მე დავიჭირე  
და შევანჯლრიე,

მაგრამ არ ვცემე...“ „რატომ?“ „ვნახე რომ მას ეშინია,  
იცი მამა, მამიკონა, შემეცოდა და ვაპატიე“.

„მამა, ის რაა?“ „საფუნთურეა“ „აბა თავთავი რომ აწერია?..“

„ასეა“ „რატომ?“ „ჩვენ რომ ყოველდღე პურს ვჭამთ, იცოდე,  
ის თავთავის ქალიშვილია,  
პური პირველად თავთავი იყო, და ყვავილივით იზრდებოდა

სადღაც მინდოორში.“

„როგორ?“ „არ ვიცი“ „ორიანი გეკუთვნის მამა, ორიანი...“

დასანანია, თქვენი მამა რომ არაა ფრიადოსანი... ასევე თქვენი  
მასწავლებელიც...

და – უცოდინრობა ყველაზე სწორი პასუხია – მინდოდა მეთქევა.

ამ დილით მივხვდი, რომ მეც სკოლაში მივდიოდი ბავშვებთან ერთად,  
მეც მსურდა კითხვები დამესვა და სწორი პასუხი მიმელო

ჩემს შეკითხვებზე.

## 2.

ბავშვებო, თქვენ სიკვდილისა თუ გეშინიათ?

იქნებ ლექსების წერა სულაც ზედმეტია ამ ქვეყანაზე?

იცი, ჩემო კოხტა გოგონა, მეც წიგნებიდან შევიმეცნე ცხოვრების არსი.

შემდეგ კი ის მეზობელ ბავშვთა გარეგნობას,

ენამურტალ, მოჩეუბარ და მატყუარა ასლებს ვადარე.

იცი, ჩემო კოხტა გოგონა, ჯერ გავოცდი, მერე ვიტირე,

შემდეგ გავჩუმდი და ვიოცნებე ძალიან დიდხანს.

იცი, წიგნი წუთისოფელზე ადრე ყოფილა – მე ამას ძალზე

გვიან მივხვდი.

მაგრამ ის წიგნი სხვა წიგნია,  
არ მჯერა, რომ ის თქვენ გასწავლონ,  
იქნებ ასეც სჯობს, მერე ცხოვრება გაძნელდებოდა.

ჩემო ბიჭუნა, იცი, მე ყოველთვის მელიქმემედი\* მინდოდა  
რომ ვყოფილიყავი

და არ ვიცოდი, რომ ამით მხოლოდ დევის კი არა,  
მტრედის მოკვლაც მიოცნებია,  
საოცარია, ეს იგი მე ყოველთვის მკვლელი მინდოდა  
ვყოფილიყავი?

მაგრამ ახლა მე მელიქმემედიც ვარ, ახმედიცა და მემედიც,  
თან გამოჯაამრთელების მოსურნე შაჰიც ვარ, თანაც თოკი ვარ,  
რომელიც შეიძლება სულ მაღლე გაწყდეს,

დევიც ვარ და ჭაც მე გახლავარ.

თმით დაკიდული ქალიშვილი ვარ, ყოჩიცა ვარ

და ციდან ჩამოვარდნილი ვაშლიც გახლავარ.

მე ახლა მარტო ცხოვრება კი არ ვარ, არამედ მეხსიერებაც და ეს  
არის აუტანელი.

მითხარი შვილო, იმ საშიში, ბანჯგვლიანი, გოლიათი დევის სული  
სპეტაკ და ფაფუკ მტრედში რატომ არის ოდითგან,  
მტრედი შუშაში რატომაა გამომწყვდეული,  
ეს რა თინი, ეშმაკობაა, გამაგებინე.

ჩემო გოგონა, ერთ-ერთ ზღაპარში მოხუცმა და ბრმა იოანემ  
ძალზედ დიდი ხნის უნახავ შვილს იცი, რა უთხრა?

უთხრა, რომ შენი ნახვა, ჰო-ჰო, ნახვაო, ძალიან გამეხარდაო.  
მაშინ ვიტირე.

მერეც მალიმალ ვხუჭავდი თვალებს და ვქვითინებდი.

შემდეგ შენი ძმა დაიბადა, მერე შენ გაჩნდი,  
და მე პირობა დავდე, რომ მეტს აღარ ვიტირებ.

იმ უაზრო ფილმებში როა, მათსავით ძლიერი მამა უნდა ვიყო ანი...  
ათი წელია, ცრემლები სულში ჩამედინება,

---

\* მელიქმემედი – აზერბაიჯანული ზღაპრის დადებითი პერსონაჟი.

და ყოველდღე მეშინია, რომ ჩვენი სახლი დაიტბორება.  
მაგრამ ამას არა უჭირს, ახლა მინდა ძლიერი ვიყო.  
მე მინდა ახლავე გიანდერძოთ, რომ ტირილს არ გადაეჩვიოთ.

იცით, ბავშვებო, მეუბნებიან, შენს ლექსებში  
ნიშან-წყალი სიცოცხლისა არ იგრძნობაო.  
იცით, ისინი სიცოცხლეში მხოლოდ თავიანთ სიცოცხლეს და  
თავიანთ ყოფას გულისხმობენ, როგორც წესია.  
მე მათი მესმის,  
რადგანაც მათ სხვა ცხოვრება არ გააჩნიათ.

იცით, ბავშვებო, მამათქვენი ლექსებსა წერს  
და იცის, რომ ეს არავის არა სჭირდება,  
ანუ ქვეყანას ვერ გაასწორებს.

იცით, ბავშვებო,  
რაც ლექსის მეორე ნაწილშია და იგულისხმება, იმის შესახებ  
მე თქვენთან არ მისაუბრია.

3.  
სანამ ცვარ-ნამი მოედნის ქვაფენილს დაადნებოდა,  
მანამ იმ ძეგლის ბრინჯაოს კეფას ედებოდა,  
ცოტათი ამ ცარიელი მოედნის გუშაგს რომ წააგავდა,  
და მას უანგისფერს მატებდა ამით,  
ჩვენში კი მისი სიდიადისადმი ეჭვსა ბადებდა.

ახლა კი მზე, თეთრეულის შავად გამფენი  
ფინთი ქალივით აშრობდა ცვარ-ნამს,  
და წვრილთვალება რომელიდაც ფოტოგრაფი, ხესთან  
მდგარი ზურგშექცევით, ცვარშემშრალ ძეგლს სურათს უღებდა.  
მზე სამყაროს ზეცის ყელზე  
ცისარტყელას ყელსაბამით დაკიდული ქარვაა ალბათ.  
მოგესალმები, მზეო, მე შენ სტამბოლური სასაუბრო ენის კილოთი!  
როგორ გაქო და განგადიდო ისე, როგორც შენ გეკადრება,

ისე, რომ წიგნში თავჩარგულთაც თვალები მოსჭრა?!  
ეი, შენ, უცნობო ყვითელთვალიანო ობიექტივო!  
შენ ხომ ყველას: მე, ამ ბავშვებს,  
სამოგზაუროდ პარეში გასულ ჭიანჭველებსაც სახით იცნობ!  
თუ ასეა, მაშინ მითხარ, მაგ წვრილთვალას გადაღებულ ფოტოებში  
მხოლოდ ამ ძეგლის სიდიადე და მნიშვნელოვნება რატომ გადადის?  
და მის და ჩვენს მცოცავსა და გათელილ ჩრდილებს, მითხარ,  
რა ვუყოთ?

ეს ხომ, ჩინგიზ ალიოლლი როგორც იტყოდა, რა თქმა უნდა  
სწორი არ არის.

## „საღამოზაოის ჩანაწერები“

ჰერბერტის გარდაცვალების გამო  
ბუზეკის სიტყვის საფუძველზე თქმული

პოეტები როცა კვდებიან,  
მინისტრები მსჯელობენ ასე:  
„ბედნიერნი გახლავან შეტად,  
ჩვენც გაგვიმართლა,  
მათ დროში რომ მოგვიხდა ყოფნა“.  
პოეტები ბედნიერნი არიან ისევ,  
ხოლო მინისტრებს კვლავაც უმართლებთ.

\* \* \*

საარჩევნო პუნქტად ხელდასმულ კინოთეატრ „შაფაგიდან“  
ერთ ნაბიჯზე,  
არჩევნების შედეგებს და წვიმისშემდგომი სუსხიანი ნოემბრის ღამის  
მარადისობას, მხოლოდ სამოთხის ვაშლმა გაუმჯდავნა საკუთარი  
დამოკიდებულება:  
კინოთეატრს მიტყუპებული უკაცრიელი ეზოს საფოსტო ყუთში  
თავისი ყვითელი ბიულეტენი ჩააგდო, საკუთარი წერილი ჩაუშვა,  
მესიჯი მისცა.  
ზუსტად ხუთი თვისა და ოთხხმეტი დღის თავზე,  
იმ კაცისმხრუკავად მწველ, მზიან დღეს,  
მხოლოდ მან, მან ერთმა საკუთარ დანაპირებს არ უმტყუნა და,  
აყვავილდა სამოთხის ვაშლი.

\* \* \*

იძებნები.

იდევნები.

ხვდები მუზეუმში.

მის სიძველეთაგან ერთ ჩოხას იპარავ, იმოსები.

ციხე-სიმაგრის კედელზე აკრული მოძრაობ და  
პაპარაცის ფოტოაპარატის მსხვერპლი ხდები.

ახლო და საშუალო ხედში

ორი ნამუშევარი „გასული ასწლეულის ადამიანების“ გამოფენისთვის;  
მაგრამ არა —

გამოუვალობას უშველებელი ხელები აბია,  
რაც შენსავე წარსულთან ერთად შეგიპყრობს და დაგატუსალებს.

\* \* \*

თოკზე ნაკიდი ნოხი ფრიალებს;  
ვარდს ქედს უხრის ვაზის ფოთოლი;  
ტირიფი თმას იშლის;  
ჭანჭველებს ემშვიდობება ვაშლის ყვავილი;  
ხელისგულა მდელო ქვიშნარში „არა, არა“ —  
ეუბნება ფარფატა პეპლებს;  
ბაღლინჯოები თავზე იყრიან მტვერს ნაცარყრილში.  
მაღლმსრბოლებს უშვებს გვირილა ოთხსავე მხარეს;  
ნკირი მიწკრიალებს ერთ მოქრილ კუნძზე;  
გაუსწრო სადგურზე ხმამ მატარებელს;  
ბორიალობს რელსებს შუა სიყვარულის შმაგი წერილი —  
ქარი ქრის და  
შენ რომ ტყუილი არ წამოგცდეს, ხმას იკმენდ ისევ.

\* \* \*

მეგობარს ვუცდიდი. ადრე ვიყავი მოსული.  
თხუთმეტი წუთი როგორმე უნდა გადამეგორებინა.  
მუზეუმის ქვეშ წიგნის მაღაზიაში შევედი.  
რელიგიური ტიპის წიგნებით გაწყობილი სტელაჟი დავათვალიერე.  
ბოლო წიგნი: დღიურები. სალვადორ დალი.

\* \* \*

დღეებს, როცა ვწერდი, თუ შევკრებ,  
სამი-ოთხი წლისა თუ შევიქნები.  
წერისთვის იქნებ სჯობდა კიდევაც  
ბავშვებად დავრჩენილიყავით,  
საწერად კი არა, სალაპარაკოდ გავჩენილიყავით.  
ერთი ბავშვი წამომაგონდა ახლა, ამწუთას:  
საღამოხანს, ზაფხულის ახლადნაწვიმარზე,  
დედამისს ფანჯრები ყურთამდე გაეღო.  
შიგნით მინის საამო სურნელებას  
უნებართვოდ, უბოდიშოდ შემოეღწია.  
პატარას ნუშისებრი თვალები გადმოეკარკლა,  
„ახალი ტანსაცმლის სუნი მცემსო, დედა“ — ეთქვა,  
და მერე დასტურს არც დალოდებია,  
საკუთარ თავს თავის ქნევით დათანხმებია.

\* \* \*

გინახავს ალბათ ბავშვები.  
ომობანას თამაშისას კი არა,  
ისე, უმიზეზოდ, ტყუილა რომ მორბიან,  
ნინ გაგიჩერდებიან და გეტყვიან,  
აი, მე მოვკვდი...  
ძირს გაიშოტებიან, ღიმილით თვალებს დახუჭავენ.  
ცოტა ხნის შემდეგ კი სიცილით თვალს გაახელენ,  
კისკისით დგებიან ფეხზე.

## დღგვენა

უთუოდ, უთუოდ ერთი დღე,  
ერთი მშვენიერი-მშვენიერი დღე  
წინ გიძევს, წინ გიძევს, წინ გიძევს და  
რომ გენვევა, გენვევა, გენვევა უთუოდ  
უთუოდ იყუჩებს, იყუჩებს ტკივილი მაგ დროს  
ლიში გაგიპობს უთუოდ ტუჩებს  
და რა საკვირია, რომ გრძელი სიცოცხლის  
დღეთა ნუსხაში ეს ბოლო  
ერთი დღე, ერთი დღე გამშვენიერდეს...

## გიტარაზე სამღერად

ტალღებისგან თოლიებმა თევზისაზე ისმინეს,  
თოლიებმა თევზისაგან წყალმცენარე იკითხეს.  
წყალმცენარემ მქროლავ ქარებს სურნელება ატანა,  
ქარებმა კი თეთრ იალქნებს თავი მისცეს სატარად.

სავსე მთვარემ იალქნებთან შარჯანები ახსენა,  
მარჯანი კი შენს ამ თეთრ მკერდს მოუხდა და გამშვენა.  
ეგ ლიმილი რასა ნიშნავს — „არას“ თუ „ჰოს“? — ჰაიდა!  
მორცხვი ბიჭი შენს ლურჯ თვალში მეყსეულად შთაინთქა.

# ლექსეპი ფოტოეპისტის

ეს ლექსეპი სალიმ ბაბულაოლლიმ  
შეთხზა თურქი ფოტოგრაფის  
ილიას გიორგინის ფოტოეპზე



## პურით ხელში სახლში მიმავალი პავაზის ნათქვამი

ხელში დაჭერილ პურებს ხომ ხედავ —  
მათი წყალობით ყველა კუთხიდან:  
დუქნიდან, პორტიდან, აიმ ბაზრიდან,  
გუშინ კი სულაც ზუსტად აქედან,  
მეზობელ თერძის სამკერვალოდან,—  
ბებო შეტყოდა, მისთვისაც უთქვამთ,  
უთქვამთ, — ოდესლაც თვით სამოთხიდან  
გამომაძევე... სად არ მივედი,  
თუმცა ამ ლაზათს ვერ შეველევი.

თუ ჩაეძიე, რა უნდა საბაბს:  
ვიღაცას — თმის ან თვალების ფერი,  
ვიღაცას — სამოსი მთლად დაკონკილი,  
ან იქნებ გამხდარი სახე და პირი,  
ან იქნებ ჩემი ხმის ტონი და ნირი  
ეკმარა, რათა სამუშაოდან  
გამოვეძევე უმისამართოდ,  
თუმცა ამ ლაზათს ვერ შეველევი.

ეს ცხოვრებაა... კი ვიცი უკვე  
ნემსს მომაგონებს — თერძის იარაღს,  
ხან სამოსს, ხან თითს რომ ჩხვლეტს და სერავს,  
სიცოცხლის საცმელს რომ კერავს ჭრელებს,  
თუმც ბოლო სამოსს მაინც ვერ კერავს.  
არც წვიმა მაფრთხობს მე და არც თოვლი  
უკვე იმდენჯერ გამომაძევეს  
გარეთ, ამინდის დაუკითხავად.  
მაგრამ მე თავად, მაგრამ მე თავად,  
ამ ლაზათს მაინც ვერ შეველევი.



## ნიღბოსანი ადამიანების პიმი

ვინ წაიკითხავს სტრიქონ-სტრიქონ  
შუბლზე დაჩნდეულ ნაოჭებს ჩვენსას?  
ვინ? რომელი ენათმეცნიერი  
ან რომელი კალიგრაფისტი?  
ამ კალიგრაფიას ხომ ვერავინ ვერ ამოიცნობს.  
ჩვენ ცრემლები ოდენ დაწვებს როდი გვირეცხავს,  
სახმილსაც გვიქრობს, მაგრა ამას  
ჩვენს სახეებზე ვერ წაიკითხავთ.  
თვალები ცრემლებით გამოვირეცხეთ,  
თუმცა ნამწამებს არაფერი ესაშველათ,  
ვერც მტვრისაგან, ვერც შიშისაგან,  
ვერც ავთვალთაგან ვერ დაგვიცვეს  
უწინდებურად და აფახულდნენ.  
ათამაშებულ თვალებიდან  
ვინ ამოიცნობს პრობლემებს ჩვენსას?  
ან გულისტკივილს, სახეზე აღბეჭდილს, ვინ ჩაუხვდება?  
თუკი პასუხი არ არსებობს ამ შეკითხვებზე,  
მაშ, სახე ჩვენი რაღად იხილონ?  
თუკი მსგავს სახეებს მიჩვეულთა მატულობს რიცხვი,  
მათ დამალვაში ხომ უნდა იდოს რაღაცა აზრი...  
ვინ იცის, ეგებ ჩვენ თავადაც  
ზოგჯერ სარკეში ჩახედვისას უნდა გავოცდეთ,  
ეგებ ჩვენც ზოგჯერ საკუთარ თავს  
უცხო თვალით უნდა შევხედოთ...



## თამაშიდან გარიყული გოგონას განაფიქრები

ისინი არ ითამაშებენ ჩემთან,  
ისინი ხომ ჩემზე უფროსები არიან.  
მაგრამ ვერაფრით გაიგებენ, რომ  
მიწისქვეშ მოჩუხჩუხე წყლები,  
ცაზე მცხოვრები კრიალა ვარსკვლავები,  
ყოველდამ, ყოველდღე მეთამაშებიან.  
ყოველდამ სირბილისას გამომედევნება  
პვერივით მრგვალ-მრგვალა სავსე მთვარე.  
დამალობანას მეთამაშებიან ყოველდღე  
ცის გულისპირი, ბიძა მზე და ღრუბლები.  
ისინი თუ არ მეთამაშებიან,  
წვიმას შევთხოვ მეც ღრუბლებს,  
დაე გაიქცნენ, დაიშალონ,  
ისინი ხომ არ მეთამაშებიან...  
...თუმცა ცოდონი არიან — დასველდებიან.



## აია-სოციის ყაზის\* მიერ ფოტოგრაფისათვის ნათევამი სიტყვები ქარგა სხვებსაც გააგონა

ცხოვრებას ცოტახანს შავი სათვალით უნდა უყურო,  
ყოველჯერზე „წარმავალიო“ — ვამბობთ და მაინც  
ბავშვობაში ნასვამი გალეტის ფილაჩამბალი ჩაივით  
მოგემრიელო ცხოვრების  
ჭრელ-ჭრულა ფერებს, ფარდებს, ცოტათი გამავება სჭირდებათ,  
ისედაც ბუზები დააჯდებიან ბოლოს;

ცხოვრებას ცოტახანს შავი სათვალით უნდა უყურო,  
ადამიანები და საგნები — ანუ ცხოვრება  
ერთმანეთისგან განურჩევლად უნდა დაინახო შავი ჩარჩოდან;  
წუთისოფლისთვის ყველაზე კარგი ნეკროლოგი  
თავად წუთისოფლია;  
ყველაფერი — ადამიანებიც, საგნებიც — სიტყვებია შავ ჩარჩოში.

ცხოვრებას ცოტახანს შავი სათვალით უნდა უყურო,  
უიმისოდაც იგი შავ-თეთრი ფოტოებივითაა.  
სურათებში ჩვენ ყველაზე მეტად შავი ფერი გვიზიდავს, შავი,  
ან ღვინო, ან დიდება, ან ქალი, რომელიც ჩვენი არ არის,  
ან ძალაუფლება და ფული,  
ანუ ცხოვრებამაც შავი სათვალით უნდა უყუროს ჩვენი  
თვალების შავსაც და თეთრსაც.

ცხოვრებას ცოტახანს შავი სათვალით უნდა უყურო,  
ცოტახანს. ქვეყანა ცოტა ნათელი თუა, ცოტათი სიბნელეცაა,  
ცოტათი მშვიდობა თუა, ცოტათი ომიცაა.  
ომში თუ მოხვდი, ჯერ მოიჟამები, სისხლი გაგიშავდება,  
ჩაშავდებიან სხვა ფერებიც.  
ყოველდღე ისურვებ გესმას ხმა: „კმარა!“ მაგრამ ყველაზე  
მწარე სიმართლე

\* თურქები ომში დაჭრილს „ყაზი“-ს უნდებენ.

თურმე ხმით კი არა, გრუხუნით ითქმის, აფეთქებებით, ყვირილით.

ცხოვრებას ცოტახანს შავი სათვალით უნდა უყურო,  
განსაკუთრებით რაზმის მეთაურს. რატომაა რომ

ჯარისკაცები შავჩარჩოიან

კოლექტიურ სურათებს გვანან ყოველი შეტევის წინ;  
და შენც მათოვის თვალებში სიბნელეჩამდგარ სხვა  
სურათს წარმოადგენ.  
სათვალის მინაზე ყველას მხოლოდ თავისი ხატება უნდა ეხილა.

ცხოვრებას ცოტახანს შავი სათვალით უნდა უყურო,  
ჩვენ ყველანი, ანუ ზუსტად ათი კაცი თუმცა გადავრჩით,  
მაგრამ ჩვენში დაბუდებული შავსახა შიში არასოდეს ამოიბუდებს.  
ომის შესახებ არ ლაპარაკობენ, ფოტოგრაფო, უფრორე დუმან;  
არც სურათებს იღებენ, რადგან ომში ბავშვები  
იხოცებიან, ბავშვები.

ცხოვრებას ცოტახანს შავი სათვალით უნდა უყურო,  
ან არ უნდა უყურო, ფოტოგრაფო, არ უნდა უცქირო.  
ომის შემდეგ ისედაც არ იცი რისთვის ომობდი,  
მე, ილიას, ჯერ ცხოვრებას, და მერე მზეს ვემალებოდი.  
ახლა კი ომის მხილველი კაცის ბრძა თვალებს ინახავს  
შავი სათვალე...



### ეპლვება აღნიშას

მდუმარე ფსკერზე იმავ სიმუნჯით ნაკიდი ზღვა, პეიზაჟი —  
უფრო სწორად, სახეზე სიმუნჯეალბეჭდილი რბილტალლიანი  
მარმარილოს ზღვა,  
ზღვის ნაფლეთი; გორაკი ნახევარუნძულისკენ გაშვერილა —  
ცენტრისაკენ.  
ჩრდილის გაქრობის უამს — ნაშუადღევს, მზეც დამალულა,  
თითქოს ქოლგას ეხუმრებოდეს.  
სამი ცალი შეზღლონ्गის გარუჯვის ნადილი ფუჭია და ამაოა.  
რამდენი კვალი ნაუშლია ნელი ქარის მეოხებით ქვიშიან ნაპირს.  
მხოლოდ უადამიანო აღწერა თავად აღწერა, ნაღდია და თვითონაა;  
ფოტოგრაფი უკან, თავის სახლში ბრუნდება...

**მრავალ ფორმაში წერა  
მრავალი იარაღით  
პოროფებასთან პრძოლასავითაა**

(ინტერვიუ სალიმ ბაბულაოლლისთან)

**– ქართველ მკითხველს სალიმ ბაბულლაოლლის როგორ გააცნობდით, ვინ არის იგი?**

– ბაქოდან 125 კმ. სამხრეთით, შირვანში, სიცხე კაცს პირში ნერწყსაც რომ უშრობს, აი ასეთ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე, დღეს კი ცხოვრების 37-ე წელს ვცხოვრობ. ჩესლავ მილოში წერდა: პოეტი ვარ, ესე იგი, დაახლოებით კარგი პიროვნება ვარ. ალბათ მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა. ბავშვობაშივე მიტაცებდა ლექსი, როგორც სალაპარაკო ენის განსაკუთრებული, საოცარი ფორმა. მამაც ლექსებს წერდა, ე. ი. ისიც კარგი კაცი იყო. ყველა ბავშვის სურვილია, მამას ჰყავდეს და მეც მამას მივემსგავსე. უბრალოდ, ის უფრო კარგი პიროვნება იყო: ანუ პოეზია, ლექსის წერა, თავისი ცხოვრების სათავედ არ გაუხდია, ისეთ სფეროში იმოღვანა, რომ ამ სფერომ მის ოჯახს უფრო კარგი და სტაბილური ცხოვრება მოუტანა. მე კი, წლების განმავლობაში, ლექსი ყველაფერზე აუცილებლად მივიჩნიე, მრავალი რამე შევწირე. როცა ლექსს არ ვწერდი, ანდა ვერ ვწერდი, ვიტანჯებოდი. მაგრამ ერთ დღეს ჩემში ყველაფერი შეიცვალა. ახლა კარგად ვიცი, რომ პოეზია და ლექსი აუცილებელი არაა. ანდა სულაც არაა აუცილებელი. მხოლოდ პროფესიული ჩვევებისა და კარგად წერის მანერების დაკარგვის შიში იწვევს ლექსის აუცილებლობას. ჩემი მეგობრები ჩემს აზრს არ იზიარებენ. მე მათი მესმის. მაგრამ აზრს არ ვიცვლი. სიხარულით, სიყვარულით, გულწრფელად ნათევამი ყველა სიტყვა ლექსია. მაგალითად, წუხელის, პატარა ქალიშვილთან ერთად სასეირნოდ გავედი. ის მამასთან ერთად სეირნობით კმაყოფილი იყო, ახედა ცას და მეუბნება: „მამა, მე ვიცი, ვარსკვლავებს ცაში სძინავთ“. ეს ლექსია.

**– რა როლს თამაშობს თქვენს ცხოვრებაში პოეზია?**

– პოეზია ჩემთვის სიყვარულის ხელოვნების მეორე სახეობაა, სხვა სახელწოდებაა. მეკითხებით: პოეზია ჩემს ცხოვრებაში რა როლს თამაშობს? სიყვარული კაცის ცხოვრებაში რა როლს თამაშობს? მე ახლა მესმის მამისა.

**– აზერბაიჯანში არსებულ დღევანდელ ლიტერატურულ მდგომარეობას მოკლედ როგორ აღწერდით?**

– ლიტერატურული მდგომარეობა... ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი, თანამედროვე ლექსის რეფორმატორი, თანამედროვე ლიტერატურულ მდგომარეობას აზერბაიჯანული ლექსის „ვერცხლის ხანას“ უწოდებს. მე მას ვეთანხმები. სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურის ისტორიას გავცნობივარ და ჩემთვის ნათელი გამხდარა, რომ ყოველი ხალხის ლიტერატურა ყოველ ას წელიწადში სამჯერ, 30-იან, 60-იან და 90-იან წლებში იცვლება. მაგრამ ეს ცვლილება იმას კი არ ნიშნავს, რომ უწინდელი ლიტერატურა მასზე ცუდი იყო და ახალი უმჯობესია, არა, ასე არაა. დღეს აზერბაიჯანული ლექსი თავის ახალ სახეს წარმოაჩენს. რაკურსს იცვლის.

**– აზერბაიჯანულ ლიტერატურაში რა არის ის, რაც გაკმაყოფილებთ და რა არის ის, რის არსებობასაც არ ეთანხმებით?**

– დღევანდელ ლექსში ყველაზე კარგი ისაა, რომ გაპედულია და თავისუფალი, რაც წინათ აზერბაიჯანულ ლიტერატურას არ ახასიათებდა. ეს შეიძლება სისუსტედაც მივიჩნიოთ, რადგანაც ლიტერატურა ზოგჯერ დაფიქრებასაც მოითხოვს. შეიძლება ვიღაც არ დამეთანხმოს, მაგრამ მე ასე მიმაჩინა.

**– შეუძლია თუ არა მნერალს აზერბაიჯანში, რომ თავისი შემოქმედების საშუალებით მიღებულ შემოსავალზე იცხოვროს?**

– არც აზერბაიჯანში და არც სხვაგან მნერალი თავისი კალმის შემოსავლით ვერ ცხოვრობს, თუ ზოგიერთ, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მნერლებს თუ არ ჩავთვლით. აზერბაიჯანისა და საქართველოს მსგავს, გავრცელებისა და გამომცემლობის ინფრასტრუქტურის ჩამოუყალიბებელ სახელმწიფოე-

ბში კი მწერლები მინიმუმსაც ვერ იღებენ. მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ნორმალურია. ცხოვრებაში ისეთი რამეები არსებობს, რომელთა საფასურის გადახდაც შეუძლებელია. ამაზე ფიქრი თავის ატეკვებად არ ლირს.

— **ლიტერატურის განვითარებისათვის რაიმე ლონის-ძიებები უნდა იქნას გატარებული თუ ნიჭიერი, ლიტერატურული ახალგაზრდობა თავად ახდენს ლიტერატურულ რევოლუციებს?**

— ლიტერატურის განვითარება რაციონალური აზროვნებიდან დაბადებული კითხვაა. ჩემი აზრით, ლიტერატურა არ ვითარდება. როგორც წყალი ორთქლდება და ღრუბლად იქცევა, შემდეგ კი წვიმისა და თოვლის სახით უბრუნდება დედამიწას, ლიტერატურაც თავის მუდმივ ტვირთს,  $H_2O$ -ს ეზიდება. თუკი სახელმწიფო სტრუქტურები და მოხელეები ხელოვნების ადამიანებს რაიმე სტიმულს აძლევენ, ეს სხვა საქმეა, ამ თვალსაზრისით, სიახლეები ყოველთვის საჭიროა. რაც შეეხება რევოლუციებს, მე მათი არ მჯერა. რევოლუციები იესო ქრისტემ და წინასწარმეტყველებმა მოახდინეს. მხოლოდ მათი რევოლუციები იყო გამართლებული, რადგანაც მათი წინამდღვარი ჩვეულებრივი ადამიანი არ ყოფილა. ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ რა რევოლუცია უნდა მოახდინოს: წარსულს უარყოფს? როგორ? ანუ ჭიდან წყლის ამოსალებ ვედროს თოკის რომელ ნაწილს მოაჭრის?

— **ლექსის ფორმის შესახებ რა აზრისა ხართ?**

— ლექსის ფორმა... საინტერესო კითხვაა. მაგრამ ფორმა თავად შინაარსია, ლაპაზი სახის ლაპაზი შინაარსივით. მრავალ ფორმაში წერა მრავალი იარაღით ბრძოლასავითა, მაგრამ რა თქმა უნდა ბოროტებასთან ბრძოლასავით. როგორც სხვადასხვა დროის იარაღი განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასევე სხვადასხვა დროის ლექსის ფორმაც ცვალებადია. და იქნებ ეს სპირალური განმეორებაცაა. მე ახლა უფრო ვერლიბრს ვწერ. რატომ? არ ვიცი. ალბათ ასე უფრო მეადვილება.

— **თქვენ ქართულ პოეზიას, ლიტერატურას კარგად იცნობთ. რას იტყოდით მის შესახებ?**

– ჩვენ ერთმანეთს ვგავართ და ერთმანეთისგან განვსხ-  
ვავდებით კიდეც. ჩვენი ცხოვრებაც და თვისებებიც მსგავსი და  
განსხვავებულია. ამავე ღროს, ქართული ლექსი წლების გან-  
მავლობაში სპარსული ენის საშუალებით არაბული ლექსისა-  
გან საზრდოობდა, მისგან ითვისებდა, სწავლობდა. მე-19 საუ-  
კუნის აქეთ კი მდგომარეობა შეიცვალა. ფრანგულმა პოეზიამ  
გავლენა მოახდინა ქართულ პოეზიაზე, შემდეგ კი რუსეთის  
იმპერიამ შემატა სხვა თვისებები. გასული საუკუნის დასაწყ-  
ისში რუსულმა ავანგარდულმა ლექსმა, ფუტურიზმმა ძლიერი  
გავლენა მოახდინა ქართულ ლექსზე. 90 –იანი წლების შემდეგ  
კი დასავლეთის ლექსის ესთეტიკური გავლენა განიცადა. იგივე  
გზა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენც განვვლეთ, მაგრამ ერთი გან-  
სხვავებით: ჩვენ აღმოსავლეთელი მუსლიმანები ვართ და ჩვენ,  
არაბულ და სპარსულ ლიტერატურას მრავალი რამ შევმატეთ.

– თქვენ უურნალ „მსოფლიო ლიტერატურის“ შთავარი  
რედაქტორი ბრძანდებით, აზერბაიჯანელ მკითხველს რომ-  
ელი ქვეყნის ლიტერატურას სთავაზობთ და ქართულ ლიტ-  
ერატურას თუ უთმობთ ადგილს?

– ჩვენი უურნალი ძირითად ადგილს გასული საუკუნის 50-  
იანი წლების შემდეგ შექმნილ ლიტერატურას უთმობს. ალბათ  
იმიტომ, რომ ამ თვალსაზრისით თეთრი ლაქები მეტია. ხოლო  
თუ რომელი ქვეყნისაა, ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ლიტ-  
ერატურაში ამას მნიშვნელობა არა აქვს. ქართულ ლიტერატუ-  
რას კი ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევთ... ღვთის ნებით  
ჩვენ მეზობლები ვართ. ეს კი ერთმანეთისადმი ინტერესს ზრ-  
დის. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მრავალი ქართველი  
ავტორის შემოქმედება დაგვიბეჭდია. ბესიკ ხარანაული, ოთარ  
ჭილაძე, ალექსანდრე ებანოძე, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ  
ოდიშარია, ზაზა თვარაძე, დავით ჩიხლაძე, გიორგი ლობუანიძე,  
შოთა იათაშვილი, ზვიად რატიანი, გაგა ნახუცრიშვილი, ზურაბ  
რთველიაშვილი, ბესო ხვედელიძე, მაია სარიშვილი, თეონა  
დოლენჯაშვილი და მრავალი სხვა. თქვენს პოეზიაში ისეთი ავ-  
ტორები არიან, რომელთა ლექსებიც ძალიან მიყვარს.

– აზერბაიჯანული პოეზია აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული თუ დასავლეთისკენ?

– აზერბაიჯანული პოეზია ყოველთვის თავისთავადი იყო, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ვართ აღმოსავლეთი, რომელიც დასავლეთისაკენაც ილტვის. მგონი თქვენთანაც ასეა.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება კრიტიკისადმი?

– თქვენ ალბათ ლექსის კრიტიკაზე მეკითხებით. სიტყვა კრიტიკა უკვე აგრესიაზე მიანიშნებს. მე არ მიყვარს კრიტიკოსები. მე უფრო მწერლების განხილვას ვენდობი. საერთოდ, კრიტიკისადმი მოუთმენელი ადამიანი ვარ. წინათ ეს მოუთმენლობა აგრესის სახით იხატებოდა, ახლა კი მოუთმენელი სიჩუმით. პოლ ვალერის ასეთი საინტერესო გამონათქვამი აქვს: ერთი რამე თუ სხვა რაიმეს არ წააგავს, ესე იგი ის არ არსებობს – კრიტიკოსი კი ამას ვერ აღიქვამს და ყველგან პლაგიატსა და არაჯანსაღ კვალს ეძებს. ერთი სიტყვით, მე კრიტიკოსები არ მიყვარს.

– ახლა ბევრი ამბობს, რომ პოეზიამ თავისი დრო მოჭამა,  
– თქვენი აზრით, მართლა მოჭამა თავისი დრო პოეზიამ?

– პოეზია ოდითგანვე ელიტარულისაზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი. პოეზიის სიყვარული სულიერ დონეს მოითხოვს. და თუ ვიღაც პოეზიას დრომოქმულს უწოდებს, ეს მისი გონიერი ბრალი არაა, მისი სულიერი მდგომარეობის ბრალია.

– აზერბაიჯანში თუ არის პოეზიის მკითხველი და საერთოდ ლექსების კრებულები თუ იყიდება?

– აზერბაიჯანში ლექსი უყვართ. წიგნებიც, ბოლო წლებში კარგად იყიდება. ჩემი წიგნები კი თითქმის არ იყიდება. იკითხავთ – რატომ? მე მათ არ ვყიდი.

– თქვენი საყვარელი პოეტი და მწერალი...

– რომ ჩამოვთვალო, ალბათ შორს წაგიყვანს. მოდით, მხოლოდ ერთი ქართველი პოეტის სახელს ვიტყვი: ბესიკ ხარანაული. მისი ერთი სტრიქონი არასდროს არ მავიწყდება: ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე...

– როდის ხართ ბედნიერი და საერთოდ, კაცი ოცნებას

**რომ აისრულებს, ბედნიერია თუ არა მაშინ და თუ შეუძლია  
მიღებული ბედნიერების შენარჩუნება?**

– ბედნიერება... მასზე ფიქრი ლოგიკურია. ბედნიერების სურვილი, მისი აღქმა, კაცის სულიერი სიმაღლის დონით იცვლება. ყველაზე დაბალ სართულზე ბედნიერება კომფორტივით და სიმდიდრესავით აღიქმება. სულ მაღლა კი, მგონი ჯერ არავინ ასულა ნინასწარმეტყველებისა და მესის გარდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ქვეყნად ბედნიერება შეუძლებელია. ამის აღქმას კაცი უფრო მაღალ საფეხურებზე აყავს. რიცოსის ლექსი-დან ერთი ადგილი გამახსენდა: ქალი ტირის, კაცი კი ეუბნება, იტირე, ეს ბედნიერებაა.

– თქვენი საყვარელი გამონათქვამი ან აფორიზმი...  
– ღვთის ნებით. ახლა ის ჩემი ყველაზე საყვარელი გამონათქვამია.

*ესაუბრა ნელი მამედოვა*

## პოეტის შესახებ

### სალიმ ბაბულაოლლი

პოეტი, მთარგმნელი და ესეისტი. აზერბაიჯანული პოეზიის „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. დაიბადა 1972 წელს.

შურნალ „მსოფლიო ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი; აზერბაიჯანის მწერალთა კავშირისა და ცენტრალური აზიის პენ-ცენტრის გამგეობის წევრი; პენ-სუამის თავმჯდომარე.

მისი ლექსები ნათარგმნი და გამოცემულია ბევრ ენაზე. ავტორია წიგნების: „ეული“ (ბაქო, 1996); „საივნისო სიმღერები“ (თურქეთი, სტამბოლი, 2006), „ეძღვნება გულთა ძერას“ (პოლონეთი, ვროცლავი, 2007), „ათი“ (პოეტ ელჰან ზალთან ერთად, ბაქო, 2008), „ილიას გიორგიენის ნახატების წიგნი“ (ბაქო, 2009), „ერთი საღამო კაპელჰაუზში“ (ელჰან ზალთან და ელჩინ ჰუსეინბეგილისთან ერთად, ბაქო, 2009), „დინების სანინააღმდეგოდ მიმავალი ქალი“ (ირანი, თავრიზი, 2009), „ნიღბოსანი ადამიანების ჰიმნი“ (უკრაინა, კიევი, 2009).

მიღებული აქვს პრემიები: „წლის საუკეთესო მთარგმნელი“ (ი. ბროდსკის თარგმანებისათვის, 2002); პოეტურ ფესტივალ ILESAM-ის მ. ფიზულის სახელობის პირველი პრემია (ანკარა, 2004); „ოქროს კალამი“ (ყირგიზეთი, ბიქეკი, 2006); პრეზიდენტის სტიპენდიანტია ლიტერატურაში (2008) და ლაურეატია სახელმწიფო პრემიის პოეტური კრებულისათვის „ილიას გიორგიენის ნახატების წიგნი“.

ნათარგმნი და წიგნად გამოცემული აქვს ორჟან ველის, ნეჯიფ ფაზილის, იოსიფ ბროდსკის, ჩესლავ მილოშის და სხვათა ლექსები.

მონაწილეა სტამბულის წიგნის ბაზრობის (2006), პერედელ-კინოს მწერალთა სემინარების (2004, 2007), გ. გ. მარკესის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალის (კიევი, 2008), საერთაშორისო სიმპოზიუმის „აიტმატოვა და თანამედროვეობა“ (ბიქეკი, 2009).

„პოეტის გვერდით განუყრელად იგულისხმება — ბავშვი. ორივე ერთად ადამიანის ლანდია, როგორც საგნებისთვის ჩრდილი.

სცადე და მოაშორე!

დიალაც, ცდილობენ ადამიანები: ცდილობენ ემსგავსონ გმირს, ბრძენს... ცდილობენ გაშორდნენ თამაშს, ოცნებას... ცდილობენ გაშორდნენ ბავშვს, რომლის კითხვებიც, როგორც გინდა გულუბრყვილოდ ეჩვენებოდეთ, მაინც ამოუცნობ სიბრძნეს აგონებთ.

ასევეა პოეტი: მისი ყოველი კითხვა ადამიანს იმავდროულად ესმის, როგორც პასუხი. და, ისე, რომ ჯერ კიდევ არც გარკვეულა, კითხულობს: “ნეტა საიდან ამდენი ცოდნა უბრალო მოკვდავს?”

რადგან ადამიანმა იცის ხისა, ქვისა, რკინისა, ყველაფრისა, რაც ზედაპირზეა, მაგრამ არ იცის საკუთარი თავი.

პოეტზე იტყვიან: — ბრძენი! არ იტყვიან: — ბავშვი! ამ დროს, ბრძენისთვის ყველაზე მიუღწეველი — ბავშვია.

ბავშვის ძეგლი უნდა გვედგას და არა ბრძენის და გმირის.

რადგან, რაც ბავშვმა იცის, ის არ იცის არც ერთმა ბრძენმა, რაც ბავშვს შეუძლია, იმას ვერ იქმს ვერც ერთი გმირი.

განა ბავშვის გარდა ვინმე მიიტანს გულთან ასეთ სურათს?

დაბარულ შავ მიწაზე

ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლები

მისცემენ განცხადებას გაზეთში,

რომ ექებენ მხატვარს.

და რომ არა ჩვენი უდიერი მზერა,

რომლითაც მივეჯაჭვეთ

მენინავე გვერდის სათაურს,

გადაურჩებოდნენ ფოთლები ლპობას.

დიახ, პოეტს შეუძლია ასეთი სურათი იხილოს.

დიდი საზრუნავი გაუჩინა მას ღმერთმა: ბუნებაში, ცხოვრებაში, ადამიანის სულში განუწყვეტლივ იხატება სურათები, რომელთა შესაბამისი მხოლოდ პოეტის შეგრძნებებია. მხოლოდ მას შესწევს ძალა, იხილოს და ისმინოს ისეთი, რის წინაშეც ჩვეულებრივი აღქმა უსუსურია, რადგან პოეტის სმენაც — გულია და ხედვაც — გულია...

მხოლოს პოეტია თვითონ:

გმირს გმირი აჯობებს და ბრძენს ბრძენი გადააჭარბებს, ერთი პოეტი კი მეორის ადგილს ვერასდროს დაიჭერს, რადგან ცის კაბადონზე ყოველი მათგანი ცალ-ცალკე ციმციმებს.

პოეზიის ცის კაბადონი განუწყვეტლივ ივსება წარმოუდგენელით, ეს ცა დღეს წარმოუდგენელია სალიმ ბაბულაოლლის ვარსკვლავის გარეშეც.“

### ბესიკ ხარანაული

„მე მომინია სალიმ ბაბულაოლლის რამდენიმე ლექსის თარგმნა ქართულ ენაზე, რაც, უნდა ითქვას, არ აღმოჩნდა იოლი საქმე. მისი ლექსების სტრუქტურა თავისი არსით გამორიცხავს ავტომატურ მიდგომას მთარგმნელის მხრიდან. მუშაობისას, მე თითქმის ფიზიკურად ვგრძნობდი, თუ რა ახლოს მიმიკვანეს მათ მშობლიურ ენასთან, ამაფორიაქეს, მაიძულეს საგულდაგულოდ შემერჩია არა მხოლოდ სიტყვები, არამედ თითოეული სტრიქონის მელოდიაც. არ ვიცი, რამდენად წარმატებული თარგმანები გამომივიდა, მაგრამ მე მადლობელი ვარ მათი უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ უფრო ცხადი წარმოდგენა მომცეს ჩემი მეგობარი პოეტის შემოქმედებით ძალაზე. მე მომისმენია, თუ როგორ კითხულობს სალიმი თავის ლექსებს, და ჩემთვის უცხო ენის მელოდიაში მე მაინც ვიჭერდი იმას, რაც ყველაზე მეტად ახასიათებს მთელ მის შემოქმედებას, თითოეულ მის ლექსს: ვიჭერდი განგაშს! და მართლაც: სალიმ ბაბულაოლლის ყოვ-

ელ ლექსს თან ახლავს განგაში, ეს, ასე ვთქვათ, „ამოსაცნობი ნიშანია“ მისი შემოქმედების, მაგრამ კულტურულობა პოეტს არასდროს აძლევს ნებას, განგაში გადაზარდოს ისტერიკაში, სხვადასხვა სახის წუნუნში, და მით უმეტეს ბრალდებებში. სალიმის ლექსებში არაფერი კეთდება რაღაცის გამო, მით უმეტეს – ხატოვანების გამო. ის ძალიან პატიოსნად ეკიდება თავის საქმეს, ბოროტად არ იყენებს ტალანტს, წერს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რასაც გული ეუბნება და ენა სთხოვს, ანუ წერს სიმართლეს.“

### ზვიად რატიანი

„სალიმ ბაბულაოლლის პოეზიის დახასიათება შეუძლებელია ერთი, ან თუნდაც რამდენიმე თვისებით. მისი სულიერი და ფორმალური ძიებების დიაპაზონი ძალიან ფართოა. ფორმა და იდეა მის ლექსებში უცნაურადა ერთმანეთთან გადაჭდობილი, ზოგჯერ თითქოს არც კი ესადაგება ერთიმეორეს. მას შეუძლია, ლექსში აღწერდეს მხოლოდ შენობის ფასადს და ამით აჩვენებდეს ადამიანური ურთიერთობების სოციალურ-კულტურულ ასპექტებს. შეუძლია, აღწერდეს ცარიელ პლაჟს იმ ფოტოგრაფის მეშვეობით, რომელიც კადრს მიღმა დარჩა და ამ გზით ფორმულასავით იძლეოდეს აღწერის ფენომენის განმარტებას. მას შეუძლია გამოიყენოს მათემატიკა და სხვა ზუსტი მეცნიერებები ყველაზე სუბიექტური ადამიანური ემოციების საჩვენებლად. მის ლექსებში ვიზუალური სურათ-ხატები ზოგჯერ თითქმის სიურრეალისტურია, მაგრამ პირდაპირ ხვდება გულს და სამუდამოდ გამახსოვრდება. სკამი და წიგნი ლათინურ ასოებად გარდაიქმნება, თევზები თაროზე – დაკრეჭილ კბილებად და ა. შ. მას შეუძლია, უბრალოდ დაწეროს დიალოგი მამასა და ვაჟიშვილს შორის და ეს იქნება პოეზია. მას შეუძლია ლექსიკონიდან აიღოს რამდენიმე სიტყვა და ამ რამდენიმე სიტყვით დაწეროს

არა განცენებული „კონკრეტული პოეზია“, არამედ ლექსი ადა-  
მიანის ბედისწერაზე. და საერთოდ, როგორც არ უნდა წერდეს  
იგი, რა თემასაც არ უნდა არჩევდეს, ის მუდამ წერს ერთ რა-  
მეზე: ადამიანზე, რომელიც გზაშია და მთელი თავისი ზიგზაგე-  
ბით, ცნობიერად თუ არაცნობიერად, მიღის ჭეშმარიტებისაკენ,  
ღმერთისაკენ...“

### შოთა იათაშვილი

„არასოდეს მავიწყდება ოდესლაც წაკითხული ერთი აზრი.  
როცა საფრანგეთი ომობდა, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი  
მხატვარი პოლ სეზანი ვაშლებს ხატავდა. და შესაძლოა, მისი  
ნატურმორტები გაცილებით უკეთ აღწერს იმ ეპოქას, ვიდრე  
ბატალიური სცენების ამსახველი ასობით ტილო. ეს აზრი სა-  
დავოა, მაგრამ ძირისძირში ის მაინც ჭეშმარიტია. შეიძლება  
მოგვეჩვენოს რომ სალიმ ბაბულაოლლის ლექსები არანაირ კა-  
ვშირში არაა დღევანდელობასთან, მაგრამ ის წერს ბავშვების  
ბედზე, ადამიანის გულისწუხილსა და მარტოსულობაზე, წერს  
როგორც ის დიდი მხატვრები, და წერს, თავისებურად, როგორც  
საუკუნის მიჯნათა პოეტი, როგორც არეული დროის პოეტი...“

### ანარი აზერბაიჯანის სახალხო პოეტი

„სალიმ ბაბულაოლლიმ შესანიშნავად იცის, როგორ იბადება  
ნამდვილი ლექსი. არა, ეს არაა თამაში მარცვლებით, სიტყვე-  
ბით, რითმებით, არა, ეს არაა პათოსით ლაპარაკის სურვილი,  
ეს არაა საზრიანობა და გამჭრიახობა, ეს არაა მეტაფორებით  
გატაცება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პოეზია იბადება  
არა რიტორიკიდან, არამედ ყოველდღიური, განმეორებადი

უმანკოების მქონე ცხოვრებიდან. რამეთუ ცხოვრება სასწაულია, რომელსაც ჩვენ ვერ ვგრძნობთ. ამითი ის ეხმიანება დიდ პოტებს, ვთქვათ კავაფისს, ორჰან ველის, უ. ჰ. ოდენს.“

### **ათაოლ ბეხრამაოლლუ ცნობილი თურქი პოეტი**

„სალიმ ბაბულაოლლი ძალიან თვითმყოფადი, უნიკალური პოეტია. მას აქვს საკუირველი ნიჭი, იყოს ღრმად ეროვნულიც და ამავე დროს კოსმოპოლიტურიც. მისი პუმანიზმი იმდენად ბუნებრივია, რომ ძალაუნებურად გმსჭვალავს ღრმა პატივის-ცემით იმ კულტურისადმი, სადაც საერთოდ შესაძლებელია ასეთი პოეტური მასშტაბის მოვლენა... მისი პოეტური ნათელი იმდენად თვითკმარია, რომ რომელიმე პოეტური ხმა მის შემდეგ ქედმაღლური და ზედმეტიც კი გეჩვენება. ამ პოეტის მთელი შემოქმედება წარმოადგენს აზერბაიჯანული კულტურის მსოფლიო კულტურაში ჩანერას, აზერბაიჯანული თემებისა და მოტივების მსოფლიო მრავალფეროვნებასთან შერწყმას.“

**დმიტრო სტუსი**  
**პროზაიკოსი, არტ-კრიტიკოსი, უურნალ „კიევსკაია რუს“-ის მთავარი რედაქტორი.**

„სალიმ ბაბულაოლლის ლექსები მეხსიერების სიღრმიდან წამოშლაან დიდი ხნის წინ მივიწყებულ გრძნობებს, ანახლებენ მას ახალი გამოცდილებით. მისი ხედვა, ირონიის გრძნობა, სიტყვის უბადლოდ გამოყენების უნარი ალაგზნებს მკითხველის გონებას და ფანტაზიას, პოეტურ ენასთან დიალოგის შესაძლებლობის სურვილს უჩინს.“

**ურსულა კოზელი**  
**ცნობილი პოლონელი პოეტი. უურნალ „ოდრას“ რედაქტორი**

„მისი პოეზია ჰგავს მდინარეს, რომელიც მიედინება ევრო-პასა და აზიას მორის, როგორც ორ, სრულიად განსხვავებულ მთას შუა. მდინარეს სიპრძნის უზარმაზარი ენერგეტიკით, რომელთანაც შეხებისასაც გრძნობ გამამხნევებელ სიცივეს და უბრალო საგნების პირქუშ სიმართლეს.“

**დალმირა ტილეპშერგენოვა**  
პოეტი, კინორეჟისორი, ცენტრალური აზის ქვეყნების  
პენ-ორგანიზაციის თავმჯდომარე.

## სარჩევი

აგვისტო	
(თარგმნა შოთა იათაშვილმა).	3
მეცხრე ნაწილი	
(თარგმანი მისივე)	9
*** შარვალი – დათხვრილი და გაქუცული	
(თარგმანი მისივე)	14
*** დაბარულ შავ მინაზე	
(თარგმანი მისივე)	15
*** დამისახელეთ ადამიანის საცალო ფასი	
(თარგმანი მისივე)	16
ეძღვნება დუმილს	
(თარგმნა ზვიად რატიანმა)	17
საპასუხო წერილი მეგოპარს	
(თარგმანი მისივე)	19
*** როცა მინდოდა მეწერა მხოლოდ ვრცელი ნაწარმოებები	
(თარგმანი მისივე)	21
საუბარი შვილთან	
(თარგმანი მისივე)	22
*** ვიდრე სამხრეებიანი დამურები შემოგვარდნიან სახლში	
(თარგმანი მისივე)	24
21 აგვისტო. საელჩოს ბინა	
(აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ).	25
მამას	
(თარგმანი მისივე)	27
ვუძლვნი გულთა ძერას	
(თარგმანი მისივე)	28
ქალბატონ ჰამიდას	
(თარგმანი მისივე)	29
საივნისო სიმღერები	
(თარგმანი მისივე)	30
თოვლის განმარტება	
(აზერბაიჯანულიდან თარგმნა ნელი მამედოვამ).	32

მამა და შვილები	
(თარგმანი მისივე)	33
„საღამოჟამის ჩანაწერები“	
(აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა).....	38
დრტვინვა	
(თარგმანი მისივე)	41
გიტარაზე სამღერად	
(თარგმანი მისივე).....	42
ლექსები ფოტოებისთვის	
(თარგმანი მისივე).....	43
ინტერვიუ სალიმ ბაბულაოლლისთან .....	54
პოეტის შესახებ .....	60